შ.პ.ს “ლ ი ლ ე ო”

LTD “L I L E O”

/№912(Q)/ 17. 10. 2017 წ.

ფუძე-საძირკვლების საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ საკადასტრო კოდი №01.11.12.015.085, შპს “ალმა”-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (7159 კვ.მ) საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებული სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ფუძე-საძირკვლების და ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობის შეფასება

თბილისი

2017 წელი

შინაარსი

ქ. თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ საკ. კოდით №01.11.12.015.085 აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა არსებულ მიწის ნაკვეთზე მდგარი შენობა-ნაგებობებისათვის, ვინაიდან პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შენობა 1/2, 2/2, 3/2, 4/2, 5/1, 6/1, 7/1, 8/1 და 9/1-ის სადემონტაჟო სამუშაოები. აქედან გამოდინარე საჭიროა შევისწავლოთ არსებული შენობა-ნაგებობების ფუძე-საძირკვლების და ყველა ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების სააგარიშო სქემა. აქედან გამომდინარე უნდა განისაზღვროს და შეფასება გაუკეთდეს არსებულ ტერიტორიაზე პროექტის მიხედვით მოცემული შენობა-ნაგებობების ფუძე-საძირკვლებსა და ყველა ძირითად კონსტრუქციულ ელემენტებს.

აღნიშნული პროექტის მიხედვით ხორციელდება ზემოთ აღნიშნული საკ. ნუმერაციის მიხედვით ჩამოთვლილი შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

შესწავლის საფუძველზე შენობა საკ. ნუმერაციით 1/2 წარმოადგენს საწარმო ტიპის ნაგებობებს, რომლის კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის ფუძე-საძირკვლები დაფუძვნებულია ბეტონის წერტილოვან საძირკველზე, კედლები აშენებულია საკედლე ანაკრები პანელებით, გადახურვა ეგრეტ წოდებული პეკაჟებით არის მოწყობილი. ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად არსებული შენობა საკ. ნუმერაციით 1/2 განხორციელებულია წერტილოვან ფუნდამენტზე, რაც ხანდაზმულობის შედეგად არის დეფორმირებული და არა მდგრადი. მისი გამაგრებითი სამუშაოები ფაქტობრივად შეუძლებელია, ასევე დეფორმირებულია პანელოვანი საკედლე ფილები და კოჭებზე წიბოვანი ანაკრები გადახურვები, რის საფუძველზეც ფუძე-საძირკვლების და მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტების მდგომარეობის პირობა არის დარღვეული და საჭიროა განხორციელდეს მისი სრული დემონტაჟი.

შენობა საკ. ნუმერაციით 2/2 წარმოადგენს ანალოგიურად საწარმოო ტიპის ნაგებობას, რომლის კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის ფუძე-საძირკვლები დაფუძვნებულია რკინა-ბეტონის ჭიქისებრ ფორმის წერტილოვან საძირკველზე, კედლები აშენებულია საკედლე პანელებითა და სილიკატური აგურის წყობით, გადახურვა პეკაჟებით არის

განხორციელებული. ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად არსებული შენობა საკ. ნუმერაციით 2/2 განხორციელებულია ჭიქისებრ ფორმის წერტილოვან ფუნდამენტზე, რაც ხანდაზმულობის შედეგად ანალოგიურად არის ამორტიზირებული და დარღვეული, ასევე საყრდენი სვეტები და კოჭების შემაერთებელი კვანძები. მისი გამაგრებითი სამუშაოები შეუძლებელია, რის საფუძველზეც ფუძე-საძირკვლების და მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტების მდგომარეობის პირობა არის დარღვეული და საჭიროა განხორციელდეს მისი სრული დემონტაჟი.

შენობა საკ. ნუმერაციით 3/2 წარმოადგენს ანალოგიურ შენობას ერთ სივრცეში. შენობის ფუძე-საძირკვლები დაფუძვნებულია რკინა-ბეტონის წერტილოვან საძირკველზე, კედლები აშენებულია ანაკრები ფილებით, საყრდენი კარკასი სრულ კედლიანი ანაკრები სვეტებითაა მოწყობილი, ხოლო გადახურვა პეკაჟებით არის განხორციელებული. ფუძე-საძირკვლების პირობებიდა გამომდინარე არსებული შენობა საკ. ნუმერაციით 3/2 განხორციელებულია რკინა-ბეტონის წერტილოვან საძირკველზე, რაც საექსპლუტაციო პერიოდის გასვლის შედეგად არის დეფორმირებული და ავარიული. გამაგრებითი სამუშაოების წარმოება შეუძლებელია, რის საფუძველზეც ფუძე-საძირკვლების და მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტების მდგომარეობის პირობა არის დარღვეული და საჭიროა განხორციელდეს მისი სრული დემონტაჟი.

შენობა საკ. ნუმერაციით 4/2 წარმოადგენს ცალკე მდგომ ნაგებობას, რომლის კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის ფუძე-საძირკვლები დაფუძვნებულია რკინა-ბეტონის წერტილოვან საძირკველზე, შენობა აქაც ანაკრები რკინა-ბეტონის პანელებით არის განხორციელებული და სვეტებით, ღრუტანიანი სიმკარებითა და პეკაჟებით. ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად არსებული შენობა საკ. ნუმერაციით 4/2 განხორციელებულია წერტილოვან ფუნდამენტზე, რაც ხანდაზმულობის შედეგად ანალოგიურად არის ამორტიზირებული და დარღვეული, ასევე საყრდენი კედლები და გადახურვის ფილები განიცდის რღვევას, რის გამოც მისი გამაგრებითი სამუშაოები არ არის მისაღები. ფუძე-საძირკვლების და მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტების მდგომარეობის პირობა არის დარღვეული და საჭიროა განხორციელდეს მისი სრული დემონტაჟი.

შენობა საკ. ნუმერაციით 5/1 წარმოადგენს ერთ სართულიან მზიდ კედლიან ნაგებობას, რომელიც ამორტიზირებულია და გააჩნია მზიდ

ელემენტებზე გამჭოლი ბზარები, ფუძე-საძირკვლების და საყრდენი კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობა გამოსულია მწყობრიდან და განიცდის რღვევას, შესაბმისად სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს სრულად.

შენობა საკ. ნუმერაციით 6/1 წარმოადგენს ერთ სართულიან ნაგებობას, რომლის კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის ფუძე-საძირკვლები დაფუძნებულია რკინა-ბეტონის ლენტურ საძირკველზე, კედლები აშენებულია სტანდარტული ტიპის სამშენებლო ბლოკის წყობით, გადახურვა რკინა-ბეტონის ფილით არის განხორციელებული. ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად არსებული შენობა საკ. ნუმერაციით 6/1 განხორციელებულია მონოლითურ რკინა-ბეტონის ლენტურ საძირკველზე. პროექტის შესაბამისად საჭიროა განხორცილდეს მისი სრული დემონტაჟი.

შენობა საკ. ნუმერაციით 7/1 წარმოადგენს ერთ სართულიან ნაგებობას, რომლიც აშენებულია ბეტონის წერტილოვან საძირკველზე და კარკასი აგებულია მილკვადრატების ერთობლიობით, გადახურვა პროფნასტილით არის შესრულებული. შენობას საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საჭიროებს დემონტაჟს

შენობა საკ. ნუმერაციით 8/1 ანალოგიურად ერთ სართულიანია, რომლის ფუძე-საძირკვლები დაფუძნებულია რკინა-ბეტონის ლენტზე, შენობა შეფუთულია ლითონის ფურცლებით (პროფნასტილი), გადახურვა ლითონის კოჭებით არის შესრულებული. ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად არსებული შენობა დაფუძნებულია ლენტურ ფუნდამენტზე, რაც სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში უნდა იქნას სრულად ემონტირებული სხვა ძირითად კონსტრუქციებთან ერტად.

შენობა საკ. ნუმერაციით 9/1 წარმოადგენს ერთ სართულიან არამზიდ ნაგებობას, შესაბამისად მისი დემონტაჟი ფუძე-საძირკვლებთან მიმართებაში არ არსებობს, რადგან არ გააჩნია ფუნდამენტი.

ფუძე-საძირკვლების შეფასება

კვლევის შედეგად შევისწავლეთ საპროექტო სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ფუძე-საძირკვლები და მისი ძირითადი ყველა

შემადგენელი კონსტრუქციები, რომელიც შესწავლილ იქნა ჩვენს მიერ არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, როგორც ფუძე-საძირკვლებთან, ასევე მის სხვა ძირითად კონსტრუქციულ ელემენტებთან მიმართებაში. წარმოდგენილი ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება დასაშვებად მიგვაჩნია ყოველგვარი დამატებითი ღონისძიებების გარეშე. ფუძე-საძირკვლების და ყველა სხვა კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობა სადემონტაჟო სამუშაოებს ექვემდებარება, შესაბამისად წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გათვალისწინებული ზემოთ ხსენებული სამუშაოების სისრულეში მოყვანა დასაშვებად მიგვაჩნია.

დასკვნა:

კვლევის მიზანი, რომელიც წარმოადგენს ქ. თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ საკადასტრო კოდი №01.11.12.015.085 მიწის ნაკვეთზე ზემოთ ხსენებული შენობა-ნაგებობების ფუძე-საძირკვლების და სხვა ძირითადი კონსრუქციების მდგომარეობის შესწავლას დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმატივებისა წესების მიხედვით არის სრულად გამოკვლეული და შეფასებული, შესაბამისად შენობა-ნაგებობები 1/2, 2/2, 3/2, 4/2, 5/1, 6/1, 7/1, 8/1 და 9/1-ის ფუძე-საძირკვლები და ყველა სხვა ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები, რომელიც იქნა შესწავლილი ექვემდებარება საპროექტო სადემონტაჟო სამუშაოებს.

დირექტორი: ალექსანდრე ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი: ალექსანდრე ყურაშვილი

